ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 10-ის
(ღვინომასალების შენახვაზე)
დამატებითი შეთანხმება

ქ. გურჯაანი 30 ივლისი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა ერთის მხრივ შ.პ.ს. **„გრუზვინპრომი“**, მისმა დირექტორმა **გელა ბეზარაშვილმა** და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ტემპი+“** მისმა დირექტორმა **ვ. ქუჩუკაშვილმა**, 2015 წლის 1 თებერვალს მხარეებს შორის დადებული ღვინომასალების შენახვის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10-ის საფუძველზე შევადგინეთ აქტი შემდეგზე:

1. შ.პ.ს. **„გრუზვინპრომი“**-ს და **შ.პ.ს. „ტემპი+“**-ს შორის 2015 წლის 01 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 10-ის თანახმად, ღვინომასალების შენახვის საორიენტაციო ღირებულება შეადგენდა **5500** ლარს, რეალურად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შენახვის მომსახურების საერთო ღირებულებამ, 2015 წლის 18 მარტის მდგომარეობით შეადგინა **800** ლარი, ხოლო ასათვისებელი დარჩა **4700** ლარი.
2. შ.პ.ს. **„გრუზვინპრომი“**-ს და **შ.პ.ს. „ტემპი+“**-ს შორის გაფორმებული ღვინომასალების შენახვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 2015 წლის 18 მარტისთვის **შ.პ.ს. „ტემპი+“**-ში შ.პ.ს. **„გრუზვინპრომი“**-ს კუთვნილი ღვინომასალების მარაგების ამოწურვის გამო, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეწყდა.
3. მხარეები ვთანხმდებით, რომ ერთმანეთის მიმართ 2015 წლის 1 თებერვალს დადებული ღვინომასალების შენახვის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **№10**-დან წარმოშობილი არანაირი პრეტენზია ან/და შეუსრულებელი ვალდებულება არ გაგვაჩნია.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

შ.პ.ს. **„გრუზვინპრომი“**-ს	**შ.პ.ს. „ტემპი+“**-ს
დირექტორი:	დირექტორი:
---------- /**გ. ბეზარაშვილი**/	---------- /**ვ. ქუჩუკაშვილი**/